

8
1965

№ 2 თბილისი იანვარი 1965

ბუნება

პამოცემის 42-ე წელი, ფასი 20 კპვ.

ნ.ს. ჯ. ლოლუასი

ქართული
ბიბლიოთეკა



ტირაქის ღირებულების ფისო.

საქართველოს მსხვილი

თბილისის ქუჩები

თ ბ ი ლ ი ს ი ს ქ უ ჩ ე ბ ე ბ ი

„ნინას“ თავისი უმცროსი უმარჯმდებელი ძმები ჰქავს სახალხო რაზმულთა გაჯეთების სახით. ჩვენ გადავიკითხეთ 26 კომისრის, კიროვის, პირველი მაისის, ლენინისა და ორჯონიძის სახელობის რაიონული იუმორისტული გაჯეთები „ჭინჭარი“, „ცეცხლოვანი ეკრანი“, „მამულიალები“, „ნინას მათრახი“ და გადავწყვიტეთ მათი გმირები, რომლებიც განსაკუთრებულ უსრულეზას „იმსახურებენ“ უსრულის მართებულად გაგაცნობით.

ვ. ა. ოგანოვი, ვ. მ. დვალაძე,
ვ. ბ. ხურცილავა, კ. ა. ჯაჭვიაძე,
თავს არიდებენ ალიმენტის გადახდას.

რად მედავები ალიმენტს,
აბა რა არის სადაო,
ან მილიცია რას მერჩის,
აბა საიდან სადაო,
ბავშვები თუ გვყავს, მერე რა
თავისით დაიბადაო.

შალვა ალექსანდრეს-ძე ჯინჯიხაშვილმა სასტუმროს ნომერს გასაღები მოარგო და სტუმარი გაქურდა.

ვინ სირცხვილო, ეს რა ქნა
ჯინჯიხაშვილმა შალვამა,
უშველა კაცის უღვაშმა,
ან ქუდმა, ან კი შარვალმა?
ვერ დაემალა სამართალს,
ბოლო გამოჰყო მამალმა.

ვართანუშ ვაგნერის ასული სავიანი ბავშვის ფეხსაცმელებით სპეკულაციას ეწეოდა.

„იშვიათი“ საქონელი
ბლომად მქონდა ნაქუჩები,
მთელ თბილისში სალდებოდა
ვართანუშას ფაჩუჩები.

არტაშ არკადის-ძე აკოფიანი—
I ავტოსარემონტო კანტორის რემონტიორი—ქუჩაში ურნებს არტოვებს „ფეხზე“.

აქეთ ურნასა წიხლსა ვკრავ,
იქით ურნასა ძვრას ვუწამ,
ვთქვით, რაზემელს დავმალედი,

მილიციელებს რას უწამ?
მტერი ვერ უწამს კაცს იმდენს,
რასაც საკუთარ თავს უწამს.

ლუდის დარბაზ №8—ში შეგიძლიათ დალიოთ მებუფეტეების რაჭველიშვილისა და ნადარეიშვილის საკუთარი წარმოების არაყი.

ეს „სტალინის“ არ გეგონოთ,
შინაური არაყია,
შა ლუქი, შა ეტიკეტი,
არაფერი არ აკლია
ამაშია, ძმებო, ფული,
ლუდხანაში სხვა რა ყრია.
ივანე გაბრიელის-ძე თეთრულმა საკუთარ სახლში ატეხა აყალმყალი და დანით დაჭრა მეგობარი.

—ამ ჩვენს ვანიჩქა თეთრაულს რატომ შეერქვა ავია?
—კბილები თეთრი მაუჩანს,
გული ჰქონია შავია.

ანდრო არუთინის-ძე ერეციანს ჩამოერთვა არაშრომითი შემოსავლით აგებული სახლი.

სახლი ისე ავაშენე,
არაფერი გამიგია,
ჩამომართვეს, მაგრამ ბევრი
არაფერი წამიგია...
„თოდ“ წაიღონ, განა მართლა
ალაღ შრომით ამიგია?

სასადილო № 188-ის მებუფეტე მეზვერიშვილი 32 კაპიკიან ხაჭაპურს 45 კაპიკად და 7 კაპიკიან ფუნთუშას—10 კაპიკად ყიდდა.

ხაჭაპურს და ფუნთუშეულს ფასს ვუმატებ ცალობითა,
შინ ვბრუნდები გვიან ღამით
სიმღერით და გალობითა.
მეც და ჩემი დირექტორიც
ვცხოვრობთ ღმერთის
წყალობითა.



ნახ. ზ. ფორჩხიძისა




— მომიტანეთ ერთი ულუფა გრამატიკული შეცდომები.
— რომ არა გვაქვს?
— აბა, მენიუში რატომ წერია?

— ბილეთს რატომ არ მაძლევ?
— ბედნიერი ბილეთი არა მაქვს და უბრალოს ხომ არ გაკადრებთ!

ი. ანდრონიძე!

ხან ზინოსთან, ხან ქუჩაში
 შემოგვხვდებოდა წინ,
 ადის, ჩადის, დადის, დადის,
 ქარია თუ წვიმს.
 მაღაზიის ვიტრინასთან
 შეგაჩერებოდა ის,
 ახალ ამბავს მოგახარებოდა
 მიწისა თუ ცის.
 შუალაშე გადავიდა,
 ცივი სუსხი ქრის,
 შინ პაწია ორი ბავშვი
 უპატრონოდ ზის.
 მამა მივლინებაშია,
 დედა არა ჩანს,
 ორი შვილი ხომ დატოვა
 ბინის დარაჯად!
 ადის, ჩადის, მიდის, მოდის,
 თოვია თუ წვიმს,
 იქნებ შეგხვდეთ, დააკვირდით,
 ის იქნება, ის.

ა. გოგიაშვილი.



ნახ. გ. ზირცხალაშვილი

— სანამ ამ ამოცანას არ ამოხსნით, კინოში ვერ წახვალთ.

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

მშობლები „დახეხულ“

ლანჩუთის რაიონის სოფელ ღრმალელეში ამირან ილიას-
 ძე ჯიშკარიანსა და ნერონ ნიკოლოზის-ძე თოდუას ტკბილმე-
 ზობლურ ჭიკჭიკს ვერავენ მოაშლევინებს, რამეთუ ღრმა სიყ-
 ვარულით უყვართ ერთურთი. ერთხელ ძმადნაფიცები ახტნენ-
 დახტნენ და უცბად მანდარინის ზღვას მიაღდგნენ.

—რა ვუყოთ?—იკითხა ამირანმა.
 —სხვებსაც ვაუყოთ—მიუგო ნერონმა.
 —ჩვენვე წავულოთ,—მიუღეჭა ამირანმა და ამბავიც ბო-
 ლომდენ ასე პოეტურად განვითარდა.
 ჯერ გაიფიქრეს თბილისში გაეყიდათ „იაფად“. მაგრამ ხომ
 უნდა დარჩენილად სარფა და დატრიალდნენ სწრაფად. გეყო-
 ლება შენც ვინმე, მეყოლება მეც ვინმე, — თქვეს, დაჰკრეს ფე-
 ნი და ქუთაისს ეწვივნენ. მიიკითხ-მოიკითხეს „ეძიებდნენ და
 პპოვებდნენ“ ოდითგან ნაცადი პრინციპით.
 პპოვეს გამოცდილი, მრავალგზის ნაცადი, დახელოვნებულ-
 დაოსტატებული, ჭირგამოვლილი, გაძრომა-გამძრომის
 მცოდნე მძღოლები: ქუთაისში, ერისთავის №10-ში მცხოვრე-
 ბი, I სამშენებლო სამმართველოს ვითომ მუშა ალექსანდრე
 დავითის-ძე ბოჭორიშვილი; ორჯონიკიძის ქუჩის მეორე შე-
 სახვევის № 8-ში მცხოვრები ავალო ალექსანდრე-ძე ჯიქია და
 ჰკითხეს: წაგვადებინებთ ორჯონიკიძეში მანდარინს?
 „წავალო და სამშვიდობოსაც ვავალო“,—თქვა ავალომ.
 ამოცანა ალექსანდრეს და ავალოს საქართველოს სამხედ-
 რო გზით რესპუბლიკიდან მანდარინის მშვიდობით გატანას
 ავალებდა.

დატვირთეს გურიის ღრმალელეში ორი მანქანა, გადმოლახეს
 ლიხი, გამოცდნენ გორს და გაიჭრა ბოჭორიშვილის მანქანა
 წინ. „თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო“ გამოეკიდა ჯი-
 ქია „ზიმით“. კავკასიონზე შენზე აღრე ავალო, უღელტეხილს
 გადავალ და ორჯონიკიძესაც პირველად ჩავალო... თუ ბიჭი
 ხარ, მომეყვი, ავალო!...—შესძახა ალექსანდრემ.
 გახელდა ბიჭი ავალო, გაახელა მანქანა და მიუშვა სადა-
 ვე. აპა, სულ მცირე მანძილი დარჩა, საცაა წამოეწევა და
 გაასწრებს წინმავალს, მაგრამ მიიღწიეს თუ არა ნატანტარს გა-
 უხვია ალექსანდრემ ჩრდილოეთისაკენ, გაუხვია ავალომაც. ია-
 რეს, ბევრი იარეს თუ ცოტა, ფასანაურში ჩავიდნენ და... ჯვრის
 უღელტეხილმა ჯვარი დაუსვა მათ ტრიუმფალურ სვლას —
 წინ გზა აღარ იყო და რადგან სხვა გზაც აღარ იყო, დაბრუნ-
 დნენ პირში ჩალაგამოვლებულები. რაც ზევით იარეს, იმდე-

ნი ქვევით იარეს, ნატანტართან ჩამოივარეს და აქაც გზა გადაუ-
 კეტათ „მყინვარმა“ — მილიციის მუშაკები დაადგნენ თავზე.
 შეისვენეთო. ცოტა სული მოათქმევინეს და ჰკითხეს: ვინა ხარ-
 თო.

ავალომ თქვა, მე ავალო ვარო.
 ალექსანდრემ თქვა, ოფიციალურად ალექსანდრე ვარ,
 თქვენთვის და შინაურებისათვის კი ჯოტოო.
 მანდარინის პატრონმა ჯიშკარიანმა: ამირანი ვარო,
 რკინისმკვნეტელი.
 ნერონმა: იმპერატორი ნერონი არ გეგონოთ, ახლა ძა-
 ლა კოლომეურნის ხელშია, კოლომეურნე ნერონი ვარო.
 ჰკითხეს ნერონს: რა არისო ალექსანდრე შენი?
 მაგი ქმარი იყო მისი ყოფილი ცოლის მისი მაგასთანო
 იყო „ზუსტი“ პასუხი.
 შენ რა ხარო ალექსანდრესი?
 მამ... მეც ასევე ვეკუთვნი ალექსანდრესო.
 — გასამრჩელოს რას მოელი?—ჰკითხეს ალექსანდრე ბოჭო-
 რიშვილს.
 რასა ბრძანებთ, როგორ გეკადრებთ, „თოდუა ჩემი შორე-
 ბელი ნათესავი არის და ჩემი ოჯახის წევრებზე კილომ პატივ-
 ნაცემი არის, მე მას ვარი არ უთხარი მანდარინის გადატანა-
 ზე“—ო. (ავტორისიული ტექსტი დაცულია).
 ამირან ჯიშკარიანს ჰკითხეს: თუ გურიიდან თბილისში
 მოდიოდით, ფასანაურში რაღა გინდოდათო.
 ამირანი მქვია და იქით მიმიწევდა გული, სადაც ჩემი
 ნეხნია მიაჯაჭვეს, სადაც მის გულ-მკერდს ყვავ-ყორანი კორ-
 ტინდა, ვახ მე, ჩემი გული დავღვეპო.
 ჩვენს გმირებს გაქცევა არ უცდიათ, თუმცა ყურმოკ-
 რული ჰქონდათ ანდაზისათვის „გაჭირვება მიჩვენე და გაქცე-
 ვას გიჩვენებო“. პირიქით, გაჭირვება რომ ნახეს, დამეგობრ-
 დნენ, დანათესავდნენ; ძმობითა და მეგობრობით საქმე გაგ-
 ვიკეთებია, ერთი მეორე გვისიამოვნებია და ცუდი რა ჩავგი-
 დენია, რას გვემართლებითო.
 ყვავიჩხიკვისამაღიშვილობის ბევრგზის ნაცადი ხერ-
 ნი ამჯერადაც ხერხად დარჩა, ხალტურისტი მძღოლების საგ-
 მირო საქმეები ინსპექციას ჩაბარდა და თოდუას და ჯიშკარიანის
 მანდარინები თბილისის მაღაზიებს.
 ქატო იქა, ფქვილი აქა.
 ასე დამთავრდა ეს ზღაპრული ზღაპარი.

ბ. ჯაფარიძე
 პარაზოტი



ყურადღება, ყურადღება! ამხანაგო რადიომსმეხელებო, ჩვენი მიკროფონი დგას გამომცემლობის დირექტორის კაბინეტში. დღეს აქ ერთმანეთს ხვდებიან ძველი მოწინააღმდეგეები გამომცემლობის გამომცემელი მუშაკები და ხელმოცარული მომწერლო — მოპოეტო სუბიექტები.

ავტორთა გუნდი გაძლიერებულია რამდენიმე გამომცემელი პროტექტორით; გუნდის წევრებს აცვიათ მოკლე და ვიწრო შარვლები, შავი მოკასინები და ჭრელი კოსტუმები.

დღის 9 საათია. სამუშაო დღის დაწყების მაუწყებელ ზარის ხმაზე მოწინააღმდეგეები გააფთრებით ეკვეთნენ ერთმანეთს.

შეხვედრის დასაწყისში ინიციატივა ხელთ იგდეს ავტორებმა და პროტექტორებმა. გამომცემლობის კართან შედიხედ იქმნება სახიფათო მომენტები. აგერ, ერთმა ავტორმა ოსტატურად აუარა გვერდი მთავარ რედაქტორს, მოატყუა ერთი რედაქტორი, მოატყუა მეორე, ელვის სისწრაფით შეიჭრა დირექტორის მისაღებ ოთახში და უძლიერესი დარტყმით გაგზავნა ხელნაწერი დირექტორის კაბინეტის კარისაკენ. ამ უკანასკნელმა თავგანწირული ნახტომით აიღო ის და გადაარჩინა გამომცემლობა ხალტურისაგან. შემდეგ შეუჩერებლად ჩააწოდა მთავარ რედაქტორს, რომელმაც ძლიერი დარტყმით გაგზავნა მოედნის ცენტრში, სადაც „ნაშრომს“ დაუფულა შესაბამისი რედაქციის გამგე და წინ, გარღვევაზე გაიყვანა უფროსი რედაქტორი.

მოედანზე ცხარე ბრძოლა მიმდინარეობს, წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლება.

გამომცემლობის მუშაკთა მისამართით ისმის მკითხველთა გამამხნეველები შეძახილები. ავტორთა კართან იქმნება სახიფათო მომენტი, საშიშროება სულ უფრო რეალურ სახეს იღებს. უფროსი რედაქტორი შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარო მოედანზე, ხელნაწერი ჩააწოდა ცენტრალურ თავდამსხმელს — მთავარ რედაქტორს, რომელმაც ძლიერი დარტყმით გაგზავნა ის ავტორთა კარში... არის, ამხანაგებო, არის! 1:0 — გამომცემლობისა და მკითხველთა საარაგებლოდ... ოცდამეთხუთმეტე წუთზე მოწინააღმდეგის კარში ხელნაწერი გაიტანა გამომცემლობის მთავარმა რედაქტორმა წუნიამვილით.

თამაში „ცენტრიდან“ იწყება. ახალგაზრდა ავტორი ზემოდან იწყებს შეტევას. მან ოსტატურად მოატყუა დირექტორის მდივანი ქალი, ელვის სისწრაფით შეიჭრა საჯარო მოედანზე, ე. ი. დირექტორის მისაღებ კაბინეტში, და აი უკვე ემზადება დასარტყმელად... მთავარმა რედაქტორმა მოუსწრო და ხელნაწერი კუთხურზე ურნაში გაგზავნა. კუთხურს მოაწვდის ავტორთა გუნდის მარცხენა გარემარბი. აღსანიშნავია, რომ მას ერთნაირად ეხერხება თამაში, როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ფლანგებზე (თანაბარი რაოდენობით წერს ლექსებსა და მოთხრობებს).

...ავტორთა გუნდის მარცხენა გარემარბი ხელთ ისწორებს ხელნაწერს დასარტყმელად და ძლიერად გზავნის საჯარო

გასულ წელს ბევრი კარგი წიგნი გამოიცა, მაგრამ, ამასთან გამომცემლობებმა ისეთი წიგნებიც მოგვანდეს, რომლებსაც ქართველი მკითხველები სათოფრე არ ეკარებინან. სავაჭრო ქსელში ლიტერატურის ჩაწოლამ ათასობით მანეთის ზარალი გამოიწვია.

ჩვენ ამჟერად შეგნებულად არ ვასახელებთ იმ დამწყებს და არღამამთავრებელ მოპოეტო-მომწერლო ავტორთა გვარებს, რომლებმაც შარშან განსაკუთრებული აქტივობით თავს მოგვახვიეს თავიანთი „შედევრები“. ისედაც, როგორც იტყვიან, გამგები გაიგებს.

რიმო მოედანზე, სადაც მას შემდეგ რებს ერთ-ერთი პროტექტორი საჭიროა დარტყმა!.. წამიც და გამომცემლობის დირექტორი ელვისებური ნახტომით მოწინააღმდეგეს ხელიდან აცლის ხელნაწერს. მდა... ავტორები კარგავენ გამომცემლობის გეგმაში მოხვედრის ხელსაყრელ მომენტს.

...შეტევა გრძელდება. ახლა ახალგაზრდა პროზაიკოსი გა-

ვიდა გარღვევაზე. მასთან ორთაობილოში მოსყიდული მსაჯი აჯარიმებს გამომცემლობის დირექტორს, თითქოს მას ხელი მიეკარებინოს ხელნაწერისათვის. დიახ, გაისმის ტელეფონის ზარის ხმა და მსაჯი ნიშნავს 11—მეტრიან საჯარიმოს. პენალტ-ურტყამს პროტექტორი — არის! ხელნაწერი ეხვევა საგამომცემლო გეგმის ბაღში—1:1... ბურთი გეგმაში გაიტანა ცენტრალურმა თავდამსხმელმა გოლიაძემ.

ჩანს, ფრე არც ერთ მხარეს არ აძლევს ხელს. თამაში გრძელდება. მთავარმა რედაქტორმა რედაქციის გამგისაგან მიიღო ხელნაწერი, სწრაფად დაამუშავა ავტორთან ორთაობილოში და შეუჩერებლად გაიჭრა წინ, სრულიად უცნობი ფინტებით უკან მოიტოვა რამდენიმე მოწინააღმდეგე, გაეჭვა პროტექტორებსაც, გვერდი აუარა მეტოქის ძმა-კაცებსაც და უძლიერესი დარტყმით ხელნაწერი ავტორის პროტექტორში გახვია—2:1, 2:1, ამხანაგებო—გამომცემლობის მუშაკთა სასარგებლოდ.

ავტორები არ კარგავენ იმედს, საოცარ თვითდაჯერებულობას იჩენენ და კიდევ უფრო გააფთრებით უტევენ გამომცემლობის კარს. ამკარა ხდება დამარცხებისა და გეგმის გარეშე დარჩენის საშიშროება.

...მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთია დარჩენილი. სტუმრები გამეტებით აწყდებიან გამომცემლობის კარს. აგერ, ცენტრალურმა თავდამსხმელმა ოსტატურად აუარა გვერდი რედაქტორებს, მოულოდნელად აღმოჩნდა დირექტორის პირისპირ და ხელნაწერი ჩააწოდა დამწყებს პოეტს. ძლიერი დარტყმა. აი, აი, აი... სად გააფრინა ახალგაზრდა ავტორმა! ხელნაწერი აცდა ყველას და ყველაფერს—საგამომცემლო თემატურ და მოსამზადებელ გეგმასაც კი.

...და აი, გაისმის დაწესებულების ზარის ხმა, რაც იმის მაუწყებელია, რომ დღევანდელი შეხვედრა დამთავრდა გამომცემლობის მუშაკთა სასარგებლოდ, მაგრამ რა ძვირად დაუჯდათ გამომცემლებს ეს მოგება, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მოსალოდნელია მსაჯთა კოლეგიის მიერ დისკვალიფიცირებულ იქნეს ზოგიერთი „მოთამაშე“, რომლებმაც, მსაჯის არაერთი სასტვენისა და საეჭვო ჯარიმების მიუხედავად ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწიეს „მზარდ“, „ნიჭიერ“ ავტორთა თავდამსხმელებს.

რეპორტაჟი წიგნის სასახლიდან მიჰყავდა „ნიანგის“ კომენტატორს

პორნელი პენალტიზმილს.

რეპორტაჟი ჩასწერა ნ. ნაპრინძემ.

ნახ. რ. გაბრიანიძის



— ესაა ხომ შენი წითელი ჯვრის გაუთავებელი კრება?


ქახუკები

- ტაქსის მძღოლმა თქვა: მრიცხველს რომ დაუჭერონ — კაპიკია ჩემი ფასიო.
- სახლმართველმა მკითხა ქალს: მეოთხე მისამართზე რომ ეწერები, ბინებს როგორ იცვლიო და — ბინებს კი არა, ქმრებს ვიცვლიო.
- კახეთის ავტონისპექტორმა მთვრალი შოფერი ვერ დააკავა: რა ვქნა, პირიდან მხოლოდ წყლისა და შაქრის სუნის ამოსდისო...
- ოედაქტორმა მხატვარს სპეკულაციის თემაზე კარიკატურა მოუწონა და მკითხა: ასეთი სახატავი ქალადლი მაღაზიებში რომ არ არის, სად იშოვნეო? — სპეკულაციანტებშიო.
- მუქთახორას მკითხეს: როგორ პურ-მარილს აქვს ფასიო და — უფასოსო.

ორნი

ლექსი ნიანგს

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილეს ნ. ს. ჩხიკვაძეს, რომელმაც გვაცნობა, რომ ქართულ ენაზე დეპეშების გადასაცემი აპარატურა ჯერ კიდევ არ არის შექმნილი. სწორედ ამიტომ რედაქციაში შემოსული მამხილებელი წერილები მამხილებელ დეპეშებად ვაქციეთ, რომ მათში აღნიშნული საჭირობორტო საკითხებისთვისაც მიგვეცია ყურადღება და ერთხელ კიდევ გამოგვეთქვა ჩვენი გულისწყრომა, რომ ქართული სიტყვები დეპეშებში ესოდენ საშინლად მახინჯდება.



შარშან ჩვენს ციბელ კუბანში
 აზრეუშის ჩინა ზარდს,
 ცლულს მაინც დაგვანებონ,
 უნასინებ, ტუ გიკვარდებ.
 კვარლის ახლგაზრდობის სახე-
 ლიტო. კვარელაშვილი.

ტუ გადუავრდა ტავდომარა
 გადაგვიჩრის სინატლეს,
 ჩვენ მურმელი ხალხი ვარბ,
 ტკვენთან ვედუებტ სიმარტლეს.

გეგეჩკორის რაიონის სოპელ
 კურზუს მცხოვრებლები.

აბანოში ნაჩვევი ვარბ,
 ტანუა ჩუჩხი გვაცუნებსა.
 სოპელ საგურამოს მცხოვრებლები.

ჩამოგვდის ცვიმა, გვენგრევა
 ჩარი,
 როდის დადგება ჩამონების ღუერი
 ზესტაფონი ჩიატურმარგანშენის
 კომუნალური ბინა. ზაკარეიშვილი და
 ტურმანიძე.

მეორე ცელიცადია,
 გავვისკდა რადიატორი,
 კველასტვის ცხადუ-ცხადია
 სირღება ვინეა პატრონი.

ბარისახოს ინტერნატის სიცივე
 გატომილი მოცაპეები.



ცხელ ცვალს ვინ ეღუებს,
 არა გვაკვს ცივიც
 გასაკნულეზი
 ღუაბღუაგით ვჩივიტ.
 ტბილგვირაბშენის ნომერი მეხუტბ
 რაჭმის მეოტხე შახტის მუშები.

ვენიტ სიარული
 ასე ცარამარა
 ნუტუ არა კვარა?
 ავტოგუსის ვაა გვაკვს,
 ავტოგუსი — არა...
 მცხეტა: — ჩარდახელები, გორგონე-
 ლები, ცეროგნელები.

დავილიებთ ვენუა დგომიტ,
 სვამიც არ გვაკვს დასადუდომი...
 ტუ არ ვდუარებ მიდიტ, ნახებ,
 ვინაც ღუერ არს, — დასცხებ მკვანებ.

ლენინგორის ავტოსადგურის
 მუხლმოკვეთილი მგზავრები.

ნიდი არა დევს ცვალუდა,
 ხოდა, გაცუნებტ მასუდა.

კარელი ღირბის
 მცხოვრებლები.

უსცაბი ნუნის გკუთუჯაგს

დავჯექ და წიგნი დავწერე,
 გაახლეთ ესე უსტარი,
 გწერთ თქვენგან გაწილებული
 თქვენი „ნაწარმის“ მუშტარი.
 რასა იქმთ, როგორ გიკითხოთ
 ან როგორ შეხვდით ამა წელს?
 რა იარლიყი ამშვენებს
 თქვენს ნახელავს და
 ნალგაწევს?!

მე თუ მიკითხავთ, რა მიშავს,
 თუ არ ჩამითვლით
 ბრალდებად,
 შორიდან მოგწერთ ჩემს ამბავს,
 ვიცი, რომ გაგეხარდებთ!
 ახალი ბინა მივიღე
 თვისი ვაზით, გათბობით,
 ოთახში შესვლა მინდოდა,
 რომ მესარგებლა ფართობით...
 კარის სახელურს მოვწიე,
 ტარი გამოძვრა ჩხირივით,
 და ხელში შემჩა,
 ნაჩუქარ „ავტოგრაფ-
 სუვენირივით“.

...ახალ მაგიდას გავშლიდით,
 მაგრამ რომ აღარ იშლება...
 „რაზ, დვა, ვზიალი“ — ს
 ყვირილით
 ცოლს და ქმარს ყელი
 გვიშრება!
 წელს პალტო შევადებინე
 ერთ ტონში სპეციალისტებს,
 სამ ფერს გაარჩევს ზედ კაცი
 — წითელს, ყვითელს და
 ალისფერს...

„მოხატეს“, „მოავარაყეს“
 ლამაზი ფაიფურივით,
 აჭრელებული დავდივარ
 ზაპაშის „ტაიფუნივით“!
 სხვა რა მოგწეროთ, რა
 ვითხრათ?..

ზედმეტად აღარ მოგაცდენთ!
 გარწმუნებთ, თუკი დავკვირდა.
 ხმას შემდეგშიაც მოგაწვდენთ!
 თქვენს შორის
 წუნისმკეთებლებს
 ოქნებ თქვენ თვითონ
 გადაწვდეთ,
 კარგს იზამთ, თუ ჩვენს
 მოკითხვას
 თქვენს ტექკონტროლსაც
 გადასცემთ.

გრ. ჩიქვილაძე

რედაქტორი გ. ნიშნიანიძე. | სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ნ. შველიძე, ო. ჭელიძე. | საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 9-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 20/1-1965 წ. ქალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კვ ცვ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 130. უფ 02838. ტირაჟი 40000

თავისუფლება სახელმწიფო გიჟავში

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მშრომელთა კეთილდღეობაზე არ ზრუნავს? მაშ რით ავსნათ თუნდაც ის ფაქტი, რომ ამას წინათ ხალხის საკეთილდღეოდ აქ ახალი სამკურნალო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი შეიქმნა. დღეიდან ამერიკაში თავის მოკვლა აკრძალულია. რას იტყვი, ყველაზე კეთილშობილური შეზღუდვაა ყველა იმ შეზღუდვებს შორის, რაც „თავისუფალ სამყაროში“ ადამიანის უფლებებთან არის დაკავშირებული, რომ მას კვლავ ეშმაკი ძია სემის სატანური შორსმჭვრეტელობა არ ედოს საფუძვლად. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის შეუნიღბავ განცხადების თანახმად, თვითმკვლელობაზე სამ კაცსაც რომ ავადებინოთ ხელი და დავაჯეროთ სიცოცხლის უპირატელობაში, ამით სახელმწიფო მიიღებს 100 ათას დოლარს გადარჩენილთა გადასახადებიდან და განთავსუფლდება პენსიის გაცემის შეტად უსიამოვნო მოვალეობისგანაც.

ერთი სიტყვით თვითმკვლელობა აქ სახელმწიფო სახსრების ვაფლანგვად არის გამოცხადებული და ისჯება ისულებით სიცოცხლით.

საბრძოლო დისციპლინისათვის!

ამას წინათ ლეოპოლდვილის მოსახლეობა სპორტის ახალი სახეობის — ჯგუფური კრივის მოწმე გახდა. სპორტულ არენად ქუჩები იყო არჩეული. ერთმანეთს ხედებოდნენ შავკანიანი პოლიციელები და ჩომბეს თეთრკანიანი „მოხალისეები“. საქმე ის არის, რომ კონგოელი პატრიოტების წინააღმდეგ საბრძოლველად დაქირავებულმა ბანდიტებმა, რომლებიც უკვე რამდენიმე თვეა გასამრჯელოს არ იღებენ, გადაწყვიტეს აიკრან გულანაბადი და შინ მოკურცხლონ.

„მოხალისეების“ ხალხიან გუნებაზე მოსაუვანად საქმეში ჩაერია პოლიცია.

სიწყვეტე სხვა...

ინგლისის პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანიის დროს პრესას დიდად მოჰქონდა თავი, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობენ როგორც კონსერვატორებისა და ლიბერლისტების, ისე ლიბერალების პარტიების წარმომადგენლებიც. კანდიდატები სარკესავით ასახავენ ინგლისის მოსახლეობის ყველა ფენას. რომელიღაც ცნობისმოყვარე უფრანლისტს ჭკუაში დაუჭდა ამ „ყველაზე უფრო წარმომადგენლობითი“ არჩევნების შესწავლა.

თურმე ნუ იტყვი, ინგლისში ყოველ 100 მცხოვრებელზე მოდის 5 ქალი, ხოლო ყოველი მეექვსე ადვოკატია. თუ საქმის არსს განვიხილავთ კონსერვატორების კანდიდატთა შემადგენლობით მოსახლეობის მხოლოდ 1% ეწევა თურმე ფიზიკურ შრომას, ყოველი მეოთხე — კომპანიის დირექტორი ან მდიდარი ბიზნესმენია, ყოველი მეოცე — ყოფილი ოფიცერი, ხოლო რაც შეეხება ინგლისელთა 60% -ს, რომელიც მატერიალურ დოვლათს ქმნის, ვილაცას „შემთხვევით“ გამოჩნენია.


ეს სტატისტიკა მოკლებული არ არის მკვერმეტყველებას.

რასისათა ხრიკაში

საქვეყნოდ ცნობილმა საყვირზე დამკვრელმა ლუის ამსტრონგმა გადაწყვიტა თანამემამულეებთან აფრიკაში ჩასვლა. აღტაცებული მასპინძლები ოქროს საყვირის ჩადოქართან შეხვედრის თაღარიგა შეუდგნენ.

— ერიბა! — გააპარტყუნეს უფრები ფერფურდის მთავრობის წევრებმა. — „ჯაზის მეფის“ ჩამოხვლას შეუძლია ლახვარი ჩასცეს თეთრკანიანთა გენიოსობისა და მიუწვდომლობის მითს...

— უარი ეთქვას სამხრეთ აფრიკაში ჩამოხვლაზე! — იოლად გადაწყვიტეს რასობრივი თავსატეხი აპარტიდის რეჟიმის უანდარმებმა, მაგრამ ეს გამოსავალი როდია — გენიალური ზანგის ოქროს საყვირის ხმა მთელ მსოფლიოს ესმის. იგი მოუწოდებს თანამემამულეებს იბრძოლონ თავისუფლებისათვის.



ამერიკის მხედრობის მორიგი „გაზრენა“.

ამერიკელმა მიომხილველმა ბირსონმა ამას წინათ განაცხადა, რომ სამხრეთ ვიეტნამში მდგომარეობა ძალზე საშიშია და გამოსავალს ვერ ვხედავთ.

ბონის იუსტიცია „საჩქაროდ დაეძებს“ ნაციტ სამხედრო დამნაშავეებს, რათა დასაჯოს ისინი ამა წლის რვა მაისამდე, რის შემდეგ მათ მიმართ წაყენებული ბრალდება მექანიკულად ისპობა.

ბონის იუსტიცია „დაეძებს“.

ნ. ბ. ლომიძის

